№ 45
კვირა, 1 მარტი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 45
კვირა, 1 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ურიგდებათ ბ-ნ ლეონიდ კნინას განცხადება

**ლუარსაბი და ნიკოლოზ თუმაგრამაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისას და მეორე დედის

**მართა შიოს ასულისას.**

პანაშვიდი იქნება გარდახდილი დღეს, პირველს მარტს, საღამოს 7 საათზედ, რიყის ქუჩა, სახლი № 41. ხოლო გასვენება სახლიდგან ხვალ, ორშაბათს, დილის 9 ს. ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და იქიდგან პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ.

(1—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩაქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1^1/_2—2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ზუღაინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების მმართველობა

ამითი აცხადებს, რომ კვირას, 22 მარტს, წლიური კრება იქმნება საზოგადოების წევრთა ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. კრება დაიწყება დილის 10 საათზედ. განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1897 წ. ანგარიშისა.

2) დამტკიცება 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) ამორჩევა საბჭოს სამის დეპუტატისა იმათ მაგიერ, რომელთაც არჩევანის ვადა შეუსრულდათ;

4) ამორჩევა მმართველობის დირექტორისა იმის ნაცვლად, რომელიც თავს ანებებს სამსახურის ვადის შესრულებისა გამო.

5) ამორჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს წევრთ, რომელთაც რწმუნების ქაღალდი ექმნებათ, საზოგადოების წესდების მე-36 §-ის ძალით სამის დღით ადრე წარუდგინონ მმართველობას ეს რწმუნების ქაღალდები, ე. ი. არა უგვიანეს 18 მარტისა.

(3—6.—1)

ტფილისი, 28 თებერვალი

[illegible] ძლიერ მცირეა სახელმწიფო სასწავლებლებში და რამდენი ხანიც გადის, იმდენი უფრო და უფრო მცირდება ეს რიცხვი. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი დიდად სამწუხაროა და წარმოსდგება იქიდგან, რომ ქართველობა უფრო სოფლად სცხოვრობს და ამისათვის იმას უფრო უჭირდება ყმაწვილების მომზადება სახელმწიფო სასწავლებლისთვის, ვიდრე მოქალაქეს. ქალაქში მცხოვრებლისათვის ძნელი არ არის ვისმე მოამზადებინოს თავისი ყმაწვილი გიმნაზიაში მისაცემად და სოფლად მცხოვრებლისთვის-კი ძნელია და მამულიდგან კარგი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, რომ გაუძლოს იმ ხარჯს, რა ხარჯსაც მოითხოვს მისის ყმაწვილის მომზადება რომელსამე სახელმწიფო სასწავლებლისათვის. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ საშუალო სასწავლებლებში ნაკლებია ადგილები, რომ ერთის თავისუფალის ადგილის დაჭერის მსურველი არის ხოლმე ოც-და-ათი და ორმოცი, მაშინ სრულიად ცხადი იქნება მდგომარეობა ქართველის მშობლისა, რომელსაც შვილი ჩამოუყვანია ქალაქში, ვალით მოუმზადებინებია და ეხლა გიმნაზიაში ანუ სხვა რომელსამე სახელმწიფო სწავლებელში უადგილობისა გამო უარს ეუბნებიან: „თქვენს შვილს ვერ მივიღებთ, სხვის შვილებმა უფრო კარგად დაიჭირეს ეგზამენიო“. სოფლად მცხოვრებთათვის [illegible] მძიმეა ამ მხრით და ამისათვის ყველა, ვისაც-კი ძვირად უღირს თავისი ქვეყანა, ვისაც-კი ჰსურს ბედნიერება თავისის სამშობლოსათვის, უნდა დააკვირდეს ამ გარემოებას და გამოსძებნოს რამე საღსარი ქართველ მშობლების ამ მდგომარეობიდგან გამოხსნისათვის.

1879 წელს უკეთეს საშუალებად დაინახა ამ საქმისათვის ქართველმა საზოგადოებამ დაარსება თავად-აზნაურთა სკოლისა და ხუთს თებერვალს იმ წლისას გაჰმართა ეს სასწავლებელი. დაარსებიდგანვე სასწავლებელს მოაწყდა სწავლის მრავალი მსურველი. სასწავლებელმა დაიწყო მოქმედება, მაგრამ მალე შეხვდა მას დიდი დაბრკოლება, როგორც ახალ საქმეს, რამდენადაც ბევრნი თანაუგრძნობდნენ და არ აკლებდნენ თავიანთ დახმარებას, იმდენადაც ბევრნი წინააღმდეგნი გაუხდნენ, ზოგთ ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი საგანი, ხასიათი ამ სასწავლებლისა და ჰფიქრობდნენ გადაექციათ იგი სრულს გიმნაზიად, რადგანაც გიმნაზიაში კურს-შესრულებულებს უფრო ფართო ასპარეზი აქვთ და ყოველთვის მოახერხებენ შესვლას იქ, რომელ უმაღლესს სასწავლებელშიაც მოისურვებენ, ზოგნი კიდევ სათავად-აზნაურო სკოლას უცქეროდნენ სხვა თვალით და ჰფიქრობდნენ და დღესაც ჰფიქრობენ, რომ ეს სასწავლებელი უმჯობესია [illegible] სხვა-და-სხვა შეხედულება სკოლის ხასიათის შესახებ დიდ ხანს აბრკოლებდა სათავად-აზნაურო სკოლას. რამდენჯერმე შედგა კომისია, რომ გადაეწყვიტა თუ რა ხასიათის სასწავლებელი უფრო საჭიროა ჩვენთვისაო, და რამდენი კლასი უნდა იყოსო. ეს საგანი საზოგადოებას დიდხანს ჰქონდა სალაპარაკოდ. ძნელი

# ფელეტონი

## ოინბაზობაა თუ სულელობა?

ყველამ იცის, რომ, რაც ჩვენში პოლიტეხნიკუმზე ლაპარაკი გაიმართა, ტფილისსა და ვლადიკავკასს შორის დიდი ომი ასტყდა. ერთიც და მეორეც იმას იძახდა,—პოლიტეხნიკუმი ჩემთვის უფრო უპრიანიაო ‹ამ› პოლიტეხნიკუმს ერთმანეთს ეცილებოდნენ. ბოლოს გასაოხრებელ ჯიბეზე მიდგა საქმე, როგორც ყველაფერი ეხლანდელ დროში. ხმა გავარდა, რომ ვინც უფრო ბევრ ფულს გამოზღერტავს თავისის ქისიდამ, შეიძლება ბურთი და მოედანიც იმას დარჩესო. ორმავე ქალაქმა ჯიბეს ხელი იკრეს, ბევრი აფათურეს, მაგრამ დახოცილ თაგვების კუდების მეტი ვერა ჰნახეს რა. რომ ჩვენს მოთხრობას ეგრედ წოდებული „პერსპექტივა“ არ წავუხდინოთ, ამას ჯერ ხანად თავი დავანებოთ. ეხლა-კი ვიტყვით, რომ ვლადიკავკასი დაჰკითხებია რამდენი ფული მოგვინდება, რომ იმედი ვიქონიოთ პოლიტეხნიკუმის დაარსებისა ჩვენშიო. ვისიც ჯერ არს, იმისაგან პასუხი მიუღია, რომ ჯერ მარტო საჭირო შენობებისათვის მოუნდება არა ნაკლებ ხუთმეტი ათას თუმნისა გარდა იმ ხარჯისა, რასაც მოწყობა წაიღებსო. ეს ერთხანად და ყოველ წლივ კიდევ თერთმეტი ათასი თუმანი უნდაო. აქედამ რვა ათასი თუმანი თერგის მხედრობამ იკისროს და სამი ათასი თუმანი ქალაქმაო.

ეს რომ გაუგონია და მოუსმენია ვლადიკავკასს, ელდა სცემია. იქაური გაზეთი „Терскія Вѣдомости“ ამბობს, რომ სხვა გინდ არა ვთქვათ რა, მარტო ეს სამი ათასი თუმანი ყოველ წლივ საკმაოა სამუდამოდ გამოვეთხოვოთ პოლიტეხნიკუმსა და იმედს ჩვენსას კბილი მოსჭრასო. ჩვენი ქალაქი, რომელიც ყელთამდე ვალშია და რომელსაც სახსარი არა აქვს ერთი ბოჭკა მეტი იქონიოს ცეცხლის მქრობელ გუნდისათვის (пожарная команда), სად შეუძლიან სამი ათასი თუმანი წელიწადში პოლიტეხნიკუმს შეჰპირდესო. ეს აშკარა უღონობა ვლადიკავკასმა კისრად იდო და დადუმდა.

თ. გ. თუმანოვს ეს ამბავი, რასაკვირველია, არა სწყენია: ტფილისს მცილობელი მოაკლდა და ბრძოლიდამ უომრად გაექცა. არც ჩვენა გვწყინს, თუმცა ერთის უღონობა მეორისათვის სასიხარულო არ უნდა იყოს, მაგრამ რას იზამ? ადამიანი ხარბია, თავისი ურჩევნია სხვისას. ჩვენ ჩვენის „კულტუროსანთა“ წყალობით ისეთმა „კულტურამ“ შემოგვიტია, რომ რაც კარგი ვიცოდით, სულ დაგვავიწყა: ჰუმანობა და სხვა ამისთანა ლათაიები სულელობაა ეხლანდელ დროშიო.

ხოლო გვიკვირს, ასე ადრე და მალე რად გაუხეთქია გული ვლადიკავკასს. რა დიდი რამ არის სამი ათასის თუმნის შოვნა? თუ ნაღდი არა აქვს, ყინული ხომ ბევრია. რა ძნელია ყინულზე თამასუქების დაწერა. ტფილისიც ხომ სწორედ იმავ დღეშია და იქნება უარესშიაც, რაც ვლადიკავკასი. ტფილისს გასავალი თითქმის 100,000 მანეთი მეტი აქვს შემოსავალზე და ყელთამდეც ვალებშია. ეხლახან ტფილისის „კულტუროსანთა“ საბჭომ აკონკა, აკონკა, იქ მოსჭრა გასავალს, აქ მოსჭრა და მაინც გასავალი შემოსავალს ვერ გაუსწორა. ამისათვის ხარჯიც კი მოუმატა ტფილისელებს. ხომ ესეა, მაგრამ მაინც წარბი არ შეუხრია და პოლიტეხნიკუმს დაჰპირდა წელიწადში სამი ათასი თუმანი. მართალია, დაპირებას ბაჟი არ ადევს და არც ერთი და იგივეა დაპირება და მიცემა, „შუა უზის დიდი ზღვარი“. ეს კარგად იციან ჩვენებურმა „კულტუროსნებმა“, კარგად აქვთ გამოცდილი და ბევრში და ბევრგან ამისი ალჩუ დასჯდომიათ.

რა ძნელი იყო ვლადიკავკასიც დაჰპირებოდა. როცა მიცემის დრო მოვიდოდა, განა ცოტა გზებია კაცმა თავი დაიძვრინოს. აბა „კულტუროსანთა“ ჰკითხეთ, ამისთანა მალაყები რა ადვილი საქმეა. თუნდ ეგეც არ იყოს, განა არ შეიძლება იმისთანა თამასუქები მიეცა პოლიტეხნიკუმისათვის, როგორიც ტფილისმა მისცა, თ. გ. თუმანოვის სიტყვით, და მერე განგებ გაკუტრებულიყო და მიცემა სამი ათას თუმნისა საკონკურსოდ გაეხადნა. ამისი ჭკუა და გზაც დიდი ხანია ვიცით ჩვენებურ „კულტუროსნებისაგან“. ეს რა ახალი ამბავი იქნებოდა. მაშინ ვნახავდით რას გამოადნობდა პოლიტეხნიკუმი იმ დაპირებისაგან და რა ოქროს ზოდებს იპოვიდა დაპირების მადნებში. თუნდ ეგეც არ იყოს, „სტრახი“ ხომ აქ არის. მაგ თამასუქს „სტრახში“ შეიტანდა და მერე ცეცხლს წაუკიდებდა. ამაების ფანდები, თუ ვლადიკავკასში ჯერ არ იციან, ტფილისმა დიდიხანია იცის. ამისი პოლიტეხნიკუმი დიდიხანია უკვე გამართული აქვს ტფილისსა. პროფესსორებიც ძალიან გაწურთნულები ჰყავთ. რა იქნებოდა, რომ ერთი ორი კაცი მიებარებინათ ვლადიკავკასელებს ამ პოლიტეხნიკუმში და ამისი ფანდები ესწავლათ...

ამასაც თავი დავანებოთ. თ. გ. თუმანოვი გვეფიცება, რომ ამისთანა დაპირება ყინულზედ დაწერილი თამასუქი არ არისო. უსათუოდ ვლადიკავკასში არავის წაუკითხავს ამ ვაჟბატონის ფინანსიური გეგმა, საცა ნაჩვენებია იგი მადნები, საიდამაც ტფილისი და, მაშასადამე, სხვა ყოველი ქალაქი, ყოველ წლივ სამი ათასს თუმანს ამოხვეტს. ეს ყოვლად სასაცილო... სასაცილო მეთქი!.. კინაღამ წაგვცდა. ეს ყოვლად სასახელო ფინანსიური გეგმა დაბეჭდილი იყო თ. გ. თუმანოვის გაზეთში № 4844. აკი ვამბობთ, უსათუოდ ვლადიკავკასში არავინ ჰკითხულობს „Новое Обозрѣніе“-ს. საოცარია, ამისთანა ჭკუის კოლოფს გაზეთსა იქ მუშტარი არა ჰყოლია. ვწუხვართ, რომ ეს ჩვენი მოსამზღვრე ქალაქი ასე უკან ჩამორჩენია „კულტურას“ ჩვენებურ „კულტუროსნებისას“, რომელსაც ასე ჭექა-ქუხილით წინ მიუძღვის ეს სახელოვანი გაზეთი და მისი არა ნაკლებ სახელოვანი ბაირაღტარი თ. გ. თუმანოვი.

ეს ერთის მხრით და მეორეს მხრით თ. გ. თუმანოვს, ამ ტფილისის „მელიქს და ველარ მელიქს“ უნდა უხაროდეს, რომ ამ ხანად ასე მომხდარა, თორემ ვლადიკავკასი უომრად არ გაექცეოდა ტფილისს და პოლიტეხნიკუმზე ხელს არ აიღებდა. რომ ვლადიკავკასს გული მოსცემოდა და ხელში იარაღი შერჩენოდა საომრად, საკმაო იყო მარტო იგი ფინანსიური გეგმა სცოდნოდა თ. გ. თუმანოვისა, რომელიც მან დიდის რიხით გამოაცხადა თავისის გაზეთის № 4844. ეს გეგმა აშკარად დაანახვებდა, რომ თვითონ პოლიტეხნი-

საქმეა, როდესაც სასწავლებელს მტკიცე საგანი არა აქვს მიცემული, როდესაც სკოლის საგანს, დანიშნულებას ხშირად არხევენ. როგორც იყო, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა ამას მოეღო ბოლო და 23 დეკემბერს 1895 წლისას საგანგებო საზოგადო კრებამ „ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოებამ“ დაადგინა: „სათავად-აზნაურო სკოლა გადაკეთდეს სრულ გიმნაზიად და ამისათვის აწინდელ სკოლას შეძლებისამებრ მიემატოს კლასებიო“.

ამ ჟამად სათავად-აზნაურო სკოლა შესდგება მოსამზადებელის კლასის ოთხის ძირითადის და სამის პარალელ განყოფილებისაგან და ექვსის საგიმნაზიო კლასისაგან; სრულს გიმნაზიას ორი კლასი-ღა აკლია. ყმაწვილების რიცხვი სულ 490. ამათში 118 პანსიონერია და 372 გარედგან მოსიარულე. პანსიონერთა შორის 26 საზოგადოების ხარჯით არის, 39 თავისის ხარჯით და იძლევა თითო ოც თუმანს და 53 კიდევ ათ თუმნიანი პანსიონერია. თითოს შემოაქვს მხოლოდ ათ-ათი თუმანი.

დიდი მომავალი მოელის ამ სასწავლებელს, თუ ჩვენ ფხას გამოვიჩენთ. ორის წლის შემდეგ ქართველ საზოგადოებას სოფლად მცხოვრებლებისათვის ექმნება სრული გიმნაზია და როდესაც ამ გიმნაზიიდგან ყოველ წელს ოცობით და ოცდაათობით ყმაწვილ-კაცობა წავა რუსეთში სხვა-და-სხვა უმაღლესს სასწავლებელში შესასვლელად, მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, რომ „მგონი ეხლა-კი გადავრჩით ფათერაკსაო“.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს სასწავლებელი უნდა დავამყაროთ, დავამკვიდროთ მაგარს საძირკველზედ. მისი დამკვიდრება მაგარ საძირკველზედ მაშინ იქნება, როდესაც სამუდამო წყაროსა და შესაფერს ბინას გავუჩენთ. თავად-აზნაურობა კიდეც შეუდგა მოუმზადოს სკოლას სამუდამო წყარო, რისთვისაც მან შეისყიდა დიდი ქარვასლა შუა ქალაქში და სცდილობს აგრეთვე რაც შეიძლება მალე მოაშოროს ამ ქარვასლას. ვალი, რომ მთელი მისი შემოსავალი მომავალში მოახმაროს სკოლას ამავე აზრით გამგე კომიტეტმაც შეიძინა დიდი შენობა, რომელიც შემდეგ გადაკეთებ-გადმოკეთებისა შეიქმნა ძვირფას ქონებად და რომელიც თავისს დროზედ, ვალის მოშორების შემდეგ, გაუწევს სკოლას სამუდამო შემწეობას. სკოლის ბინის შესახებ-კი ჯერ არაფერი გაკეთებულა საფუძვლიანი და სკოლა დაარსებიდგანვე გვქონდა მოთავსებული ხან ერთ ნაქირავებ სახლში და ხან მეორეში. აქამდის კიდევ ისე არ იყო საგრძნობელი საკუთარის სახლის უქონლობა და ეხლა-კი, როცა სკოლას მოემატა და განცხოველდა საზოგადოებაში საჭიროება, ყმაწვილების სკოლასა და იმისს პანსიონში მიბარებას დიდ დაბრკოლებად აქვს სკოლის შესაფერის სახლის უქონლობა. ამის შესახებ არა ერთხელ მოუხსენებია გამგე კომიტეტს „ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ“ თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისათვის. წარსული წლის საზოგადო კრების დადგინების თანახმად გამგე კომიტეტი შეუდგა სკოლის სახლისთვის გამოსადეგ ადგილის შოვნას, ბევრის ძებნის შემდეგ ამოირჩია სასყიდლად წყნეთის ქუჩაზე თორმეტის დღის ადგილი, კუთვნილი თავად სოლომონ ალექსანდრეს ძის ბებუთაშვილისა, და მოურიგდა საჟენს ორ მანეთად. თ. სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთაშვილი და მისი და კნეინა ნატალია ხერხეულიძისა წინათვე დაჰპირებოდნენ დედათა კომიტეტის თავმჯდომარეს კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას სადმე თავიანთ მამულში დაეთმოთ ოთხი დღის მიწა მომავალ დედათა სასწავლებლისათვის და ამისათვის ეხლა მათ გამოაცხადეს, რომ იმის მაგივრად ისინი უთმობენ საზოგადოებას ნაკლებ ფასად ექვს დესეტინას 20,000 მანეთად იმ პირობით, რომ საზოგადოებამ ექვსი დესეტინიდგან ორი ანუ ოთხი დღისა შეინახოს მომავალის დედათა სასწავლებლისათვისაო.

ამ პირობით გამგე კომიტეტი იძენდა იაფად ფართო ადგილს სათავად-აზნაურო სკოლის და მომავალი დედათა სასწავლებლისათვის, მაგრამ გამგე კომიტეტს არა ჰქონდა 20,000 მანეთი ხელში და ამისათვის იგი დიდს ფიქრში იყო. ქართველ საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ გამგე კომიტეტს უშოვნია შესაფერი ადგილი სკოლის შენობისათვის, მაგრამ უფულობისა გამო ლამის საქმე ჩაიშალოსო. აი ამ ხმამ განაღვიძა ზოგიერთ ქართველთა გულში მაღალი გრძნობა მოძმეს დახმარებისა და ამათ გამოაცხადეს მხურვალე სურვილი შემოეწირათ ფული სკოლის ადგილის სასყიდლად. ცოტა ხნის განმავლობაში შემოწირულების თანხა ავიდა 11,000 მანეთამდის და ამ ფულიდგან კიდეც მიიღო გამგე კომიტეტმა 9,000 მანეთი.

საზოგადოების ზოგიერთა წევრთა ამგვარმა მხურვალე თანაგრძნობამ გააბედნია, გამგე კომიტეტს არ მოეცადნა საჭირო ფულის მოგროვებისათვის და ეხლავე დაემტკიცებინა საზოგადოების სახელობაზედ მოხსენებული მამული.

ამ წლის იანვრის ოც-და-რვას გამგე კომიტეტმა მიიღო ნასყიდობის ქაღალდი და ამ დღიდგან საზოგადოება შეიქმნა პატრონი სკოლისათვის შესაფერის ადგილისა შიგ ქალაქის პირში დასავლეთის მხრივ. ადგილის შეძენა დამტკიცებით დაჯდა სულ 20,942 მან. და 45 კ. ამ ხარჯის გარდასახდელად გამგე კომიტეტმა ისესხა 11,942 მ. და 45 კ. და დანარჩენი ხარჯი მოიშორა შემოწირულ 9,000 მან. გამგე კომიტეტი აღვსილია დიდის იმედით და სწამს, რომ იმათი რიცხვი, რომელთათვისაც ძვირფასი და სანატრელია აღზრდა მოზარდ თაობისა, რომელნიც სთვლიან განათლების გავრცელებას ქართველთა შორის უკეთეს სახსრად მათის კეთილ დღეობისათვის, — რიცხვი დიდია და ესენი მისცემენ კომიტეტს შეძლებას არა თუ მარტო მოიშოროს ის ვალი, რომელიც ეხლა მოუვიდა, არამედ დაამთავროს ის საშვილი-შვილო საქმე, რომელსაც წარმოადგენს სკოლისათვის შესაფერის სახლის აშენება.

ჩვენ მამა-პაპათ თავიანთი ქვეყანა აღუვსიათ ციხეებითა, მონასტრებითა და ეკკლესიებით და ჩვენ, მათ შთამომავალთა, რად უნდა გაგვიჭირდეს ერთად-ერთის სკოლისათვის შესაფერის სახლის აშენება, და არც გაგვიჭირდება. რაც ერთი კაცისათვის გასაჭირია, ის საზოგადოებისათვის ადვილად მოსახერხებელია. სკოლის სახლის აშენებას ყველა ქართველს შეუძლიან ამოუჩინოს დახმარება ზოგს ფულით, ზოგს შრომით და ზოგს მასალის მიზიდვით.

სკოლის შენობის დახმარების მსურველნი ბევრნი არიან ეხლა ჩვენში და იმათ ვაცნობებთ, რომ შემოწირულებას ამ საგნისათვის იღებს თვით გამგე კომიტეტი.

იმათი სია, რომელთაც შემოსწირეს ფული, ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება.

ნ. ცხვედაძე

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ ზაქარია ჩიგოგიძე, გაბრიელ გოჯიაშვილი და ბართლომე კაკაბაძე ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონებად: პირველი — ლაგოდეხისა, მეორე — ტფილისის და მესამე — ხაშურისა.

დანიშნულ იქმნა სამტრედიის საფოსტო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლი, ტიტულიარნი სოვეტნიკი სტეფანე ქორქაშვილი — სამტრედიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზედ ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი, ტიტულიარნი სოვეტნიკი ანტონ აბაზაძე.

## ახალი ამბავი

∴ კვირას, 1 მარტს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის საბჭოში დანიშნულია კერძო კრება ხმოსანთა ქალაქის მოურავის ბ-ნ გ. ევანგულოვის თავმჯდომარეობით. კრებას თათბირი ექმნება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული ტფილისის ქუჩებისა და მოედნების უკეთესად შენახვისათვის.

∴ 27 თებერვალს ქალაქის გამგეობას კრება ჰქონდა ბ-ნ პოლიცმეისტერის მოხსენების გამო შესახებ იმისა, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული მტკვრის ნაპირას მცხოვრებთა ასაცილებლად უბედურებისაგან წყალ-დიდობის დროს. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა უკვე არსებულ ნავების გარდა სხვებიც შეიძინოს. მოამზადონ მაშხალები და ფარნები იმ ადგილების გასანათებლად, სადაც შიში იქმნება. მიაშველონ პოლიციას 50 მუშა, მისცენ 16 კარავი, წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის თავშესაფარებლად და აგრეთვე მოუნახონ სახლიც.

---

კუმია იგი მადანი, რომელიც სამი ათასს თუმანს ყოველ წლივ ჩაუჩხრიალებს ტფილისს ჯიბეში და ტფილისს მარტო გარჯა-ღა მოუნდება პოლიტეხნიკუმის მოტანილი პოლიტეხნიკუმსვე მიართოს. ამაზე მეტი ჭკუა-ღა გნებავთ!. როგორ ვერ გაუგეს ეს ჯადო-თილისმა ვლადიკავკასელებმა თ. გ. თუმანოვს და სამი ათასის თუმნის უქონლობას რად შეუშინდნენ, უომრად იარაღი რად დაჰყარეს და ბრძოლიდამ რად გაიქცნენ. ახია!.. რატომ არა კითხულობენ „Новое Обозрѣніе“-ს!..

დღეს ეს საოცარი გეგმა, რომელიც პოლიტეხნიკუმსაც ჰლამის ფული გამოადინოს, ჩვენს მეტოქეს უნდა მივაწოდოთ. ეს, რასაკვირველია, გაცემა იქნება ტფილისისა, ჩვენის დედა-ქალაქისა, და თ. გ. თუმანოვი დრეიფუსობაში ჩამოგვართმევს, — სამი ათასის თუმნის სამობილიზაციო გეგმა ჩვენს მტერს აუწყეს და გაგვცესო. ხოლო ჩვენ ესეც ვიცით, რომ ჩვენც ერთი ზოლა გამოგვიჩნდება და ერთს ჭექა-ქუხილს ასტეხს ჩვენდა სახსნელად და გასამართლებლად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ძალ-გულოვანი Novus-იც არ დაიშურებს მაშინ ჩვენს სარჩლს-ქომაგობას. ვიცით იმისი კეთილი გული. განა გაუჭირდება, ბუკი და ნაღარა დაჰკრას მაშინ, რომ უმაღლესი, უზენაესი და უწმინდაესი დანიშნულება მართლმსაჯულებისა გამართლებაა თუნდ აშკარა დამნაშავისა. ამისთანაებში ის იმისთანა ავტორიტეტია, რომელსაც სიზმარიც-კი დაეჯერება. ახლა იტყვიან, Novus-ი იმისთანა კაცია, რომ უანგარიშოდ არას იტყვისო. გულში რა ექნება მაშინ Novus-ს, ეგ არ ვიცით. ეგ ჩვენი საქმე არ არის. საქმე მისი ნათქვამი იქნება და ჩვენი სასოებაც ეს არის.

ასეა, თუ ისე, ვლადიკავკასის სიბრალულმა გვძლია, და მეტი გზა არ არის ტფილისი უნდა გავცეთ, ვლადიკავკასს გვინდა იარაღი ისევ ხელში მივცეთ საომრად. ან რა არის რომ თვით თ. გ. თუმანოვმა ეს თავისი გეგმა ვლადიკავკასს შეაწიოს. ღვთისა და თქვენის წყალობით თ. გ. თუმანოვი ხომ ჯერ კიდევ ცოცხალია და ღმერთმა კიდევ უფრო დიდი დღე მისცეს „კულტუროსანთა“ ნუგეშად. განა სხვა ახალს გეგმას ვერ შეადგენს? დღეში თუნდ ორმოცს მაგისთანა გეგმას გამოაცხობს ჯვარის-მამის შოთებსავით. ამას ბევრი არა უნდა-რა, ოღონდ კაცმა ჭკუაზე ხელი აიღოს და საქმე გაიჩარხება. ამისი ჩახმახი და კონდახიც თ. გ. თუმანოვის ხელშია. ჭკუის მოხუჭვის მეტი არა მოუნდება-რა, რომ ნიშანში ამოიღოს და ეს რა დიდი საქმეა იმისთვის, ვისაც ხალისთან ერთად ამისი უნარიცა აქვს. ყველა ავი შეიძლება სთქვათ და ამ ხალისს და უნარს-კი ვერ წაართმევთ თ. გ. თუმანოვს. იგი იმ ნაცარქექიას ჰგავს, რომელიც ყველს ხელს უჭერს და იძახის-კი, აი ქვას წვენი როგორ უნდა ადინოთო. მაშ შიში გაცემისა და ღალატისა იქით. თვით თ. გ. თუმანოვის ლოცვა-კურთხევით გეგმა მისი ვუწყალობოთ ვლადიკავკასს, მადლია, სხვა არა იყოს-რა. მადლისათვის თ. გ. თუმანოვი თუნდ ფანრის ბოძზე ჩამოეკიდება და თავს დაირჩობს. ღმერთმა-კი ნუ ქნას. „ასტვაც“, ამ უბედურებას ნუ შეგვასწრებ!..

მაშ ეგრე! ვახსენოთ ღმერთი და ვლადიკავკასს ყველაფერი ვაუწყოთ.

ყოველთ უწინარეს ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ ამ გონება-დახშულ ქალაქს ტყუილად გაუხეთქია გული, ვითომც არსებულ შემოსავლიდამ უნდა იხადოს ყოველ წლივ სამი ათასი თუმანი პოლიტეხნიკუმისათვის. ფინანსიური გეგმა თ. გ. თუმანოვისა სულ სხვას გვეუბნება. ეგ თურმე სრულიად საჭირო არ არის: რაც შემოსავალი აქვს ქალაქსა ხელ-უხლებელი იქნება. მაშ სხვა რა მადანი აქვს ქალაქსა, თუ არ შემოსავალიო? სიბრძნეც აქ არის და! აბა ყური დაუგდეთ თ. გ. თუმანოვს, რა კაკანათი დაუგო ტფილისს და შიგ მოამწყვდია. „Городъ обѣщаетъ давать будущему политехникуму по 30 тыс. руб. въ годъ не изъ наличныхъ своихъ средствъ, *не изъ тѣхъ средствъ*, которыми поддерживаются начальныя школы а изъ тѣхъ, которыя городъ получитъ въ случаѣ открытія политехникума: *отъ возвышенія цѣнности городскихъ земель, увеличенія оцѣночнаго сбора и другихъ доходовъ*.“

ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სიბრძნე-სიცრუე ჩვენი მოგონილი იყოს განგებ. ესეა სიტყვა-სიტყვით ნათქვამი „Новое Обозрѣніе“-ს № 4838. ამ დაბეჭდილს, რუსებისა არ იყოს, კაცი ცულითაც ვერ ამოფხიკავს, ხოლო თ. გ. თუმანოვმა ეს ამოფხეკაც-კი იოსტატა თავისდა სასახელოდ. ნებას ვითხოვთ ცოტა ხანს ამ ოინბაზურ საქციელზე შევდგეთ.

მას შემდეგ რა-კი ჩვენ სასაცილოდ ავიგდეთ ეს მართლადა სამასხარო საზრისი, თ. გ. თუმანოვმა პასუხი გვაღირსა და აშკარად დაგვანახვა, რომ სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად თაღლითობის და ოინბაზობის უნარიც ჰქონია. გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ტფილისი, მისის სიტყვით, ჰპირდება პოლიტეხნიკუმს სამი ათას თუმანს წელიწადში ჯერ ხომ „не изъ наличныхъ своихъ средствъ“ და მერე, — „не изъ тѣхъ средствъ, которыми поддерживаются начальныя школы“. ამ სახით ორ-გვარი „средства“-ა დასახელებული, რომელსაც ქალაქი ხელს არ ახლებს პოლიტეხნიკუმისათვის.

ბოლოს თ. გ. თუმანოვმა უსათუოდ იგრძნო, — ეს რა სულელობა წამოვროშეო და თავისი ნათქვამი გადასთქვა, ანუ, უკეთ ვთქვათ, გადაასხვაფერა იმ რიგად, რომ ცხადი სულელობა ნათქვამისა ისე თვალში საცემი და აშკარა აღარ იყოს. ამას დიდი ოსტატობა არ უნდოდა. საკმაო იყო, მიეფუჩეჩებინა როგორმე სიტყვები: „не изъ наличныхъ своихъ средствъ“ და მიაფუჩეჩა კიდეც. როგორაო, იკითხავთ? ისე, რომ ამ ფრაზის შემდეგი სიტყვები не изъ тѣхъ средствъ“ გადაჰყლაპა და ძირს დარჩა მარტო „не изъ наличныхъ своихъ средствъ, которыми поддерживаются начальныя школы.

რომ ესე გადაასხვაფერა თ. გ. თუმანოვმა თვისი ნათქვამი და ამისთანა ოინბაზობა იკადრა, ამის დასამტკიცებლად იხილეთ მისი გაზეთი № 4844, სადაც ვითომც იმეორებს თავისს წინანდელ ნათქვამს და სახის აუწითლებლად ასე სტყუის: „городъ, говорили мы, обѣщаетъ давать политехникуму 30 тыс. руб. въ годъ *не изъ наличныхъ своихъ средствъ, которыми поддерживаются начальныя школы*“.

აშკარად დასანახავია, რომ სულ

ეს გარდაწყვეტილება საბჭოს მომავალ კრებას მოხსენდება.

⁂ ორშაბათს, 2 მარტს, მორიგ საქმეთა გარდა ქალაქის საბჭო განიხილავს შემდეგ საქმეებს: მოხსენება ქალაქის მოურავისა შემდეგ იმისა, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას წყალდიდობის დროს მიღებული, მოხსენება მისივე შესახებ 1898 წლის დაფასების გარდასახადის შესატანის ვადის დანიშვნაზე, მოხსენება ქალაქის გამგეობისა სასტატისტიკო ბიუროს დაარსებისა და ტფილისის პოლიციელთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

⁂ 27 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ გაარჩია საქმე აზნაურის რევაზ გვერდწითელისა, რომელსაც აზნ. გიორგი ქურდოვანიძის მოკვლა ჰბრალდებოდა. აი, მოკლედ ამ საქმის ვითარება. 1897 წელს, 31 ივლისს, გორის მაზრის სოფელ ზემო-აგარაში მოჰკლეს რევოლვერით სოფ. კრისის-ხევის მცხოვრებელი აზნ. გიორგი ქურდოვანიძე. პირველ-დაწყებითმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამ დღეს განსვენებულს თავისს ძმასა და მოსამსახურეებთან ერთად სად. გომიდგან ხე-ტყის მასალა მიჰქონდა შენობისათვის. ეს შენობა ქურდოვანიძეს უნდა აეგო იმ ადგილზედ, რომელიც დიდი ხანი სადავო იყო იმასა და გვერდწითელს შორის და რომელიც სასამართლოს გარდაწყვეტილებით ქურდოვანიძეს დარჩა. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა.

⁂ ორშაბათს, 2 მარტს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის განყოფილება განიხილავს ბორჩალოს მაზრის ლორიის ნაწილის ბოქაულად ნამყოფის თავ. ვაჩნაძის საქმეს, რომელსაც თანამდებობის აღსრულების დროს დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება. ამ საქმისათვის 14 მოწმეა გამოწვეული.

⁂ საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიამ ნება დართო სამოქალაქო სამთო ტეხნიკოსს დ. გ. შულცს საარქეოლოგიო აზრით კვლევა-ძიება დაიწყოს ტფილისის მაზრის სახელმწიფო და სხვათა მამულებში.

⁂ გაზ. „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: „25 თებერვალს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგა და მათ იმპერატორებით უდიდებულესობას თავისი აზრი მოახსენა კავკასიაში სწავლის საქმისა და სკოლის გარდასახადის პროექტის შესახებ“.

⁂ ყაზახი. 22 თებერვალს აქ ადგილობრივს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი საქართველოს მეფის ირაკლი მე II დაკრძალვიდგან ასის წლის შესრულების დღეს. პანაშვიდს დაესწრნენ სამხედრო ᲓᲐ სამოქალაქო მოხელენი და მრავალი ხალხი.

⁂ ქ. ახალ-ბაიაზეთი (ერევნის გუბერნია). ადგილობრივ ეკკლესიაში 22 თებერვალს გარდახდილ იქმნა წირვა-პანაშვიდი ქართულ ენაზედ დაუვიწყარის და დიდებულის მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად მისის გვამის მცხეთის სვეტი ცხოვლის ტაძარში დაკრძალვის ასის წლის შესრულების გამო. მწირველი იყო მ. იოანე ჩიტაძე, რომელმაც მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. დაგვისურათა რა ღირსება და მნიშვნელობა სასიქადულო მეფე ერეკლესი, რომელიც „შეადგენდა საქართველოს დიდებასა და ამაყობას“, თავისსი სიტყვა ასე დააბოლოვა: დღეს თითქმის ყველა საქართველოს შვილი იგონებს და წრფელის გულით ავედრებს უფალს პატარა კახის დარდით გამსჭვალულს სულს. ჩვენც, ძმანო, სხვა ქართველებთან ერთათ ვილოცოთ მეფის ნეტარ-ხსენებულ სულისთვის რათა განუსვენოს მას ღმერთმა მართალთა შინა.“ ამ სიტყვამ შესაფერად იმოქმედა დამსწრე ქართველ საზოგადოებაზედ. წირვა-პანაშვიდს ქართველებს გარდა დაესწრო ქართულის არა მცოდნე სხვა ტომის ხალხიც. ერეკლე მეფის ფონდის სასარგებლოდ გამართულია ხელის მოწერა. შეკრებილ ფულს თავისს დროზედ წარმოვადგენთ „ივერიის“ რედაქციაში.

⁂ ს. იანეთი (ქუთაისის მაზრა). არც ჩვენი პატარა ლამაზი სოფელი ჩამორჩა დაბა-ქალაქებს ეროვნულ გრძნობის გამოთქმით. კვირას, 22 თებერვალს, საქართველოს მეფის ერეკლე მეორის დაკრძალვიდგან ასის წლის შესრულების გამო წირვასა და პანაშვიდს, რომელიც გადახდილ იქმნა მამა ზ. შანიძის და ს. კოხრეიძის მიერ, თითქმის ორივე სამწყსოს მრევლიდგან დიდი და პატარა დაესწრო. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მღ. შანიძემ მიმართა ხალხს შესაფერის სიტყვით ᲓᲐ გლეხებს მოკლედ დაუსურათხატა სასიქადულო მეფის თავ განწირული ცხოვრება და ღვაწლი მამულის წინაშე. გრძნობის დამბადებელმა სიტყვამ ბევრს თვალს ცრემლი დააფრქვევინა. ერთმა გლეხმა პოეტის სიტყვები ასე ამოიოხრა: „ვინ ვყოფილვართ, რა ვყოფილვართ ჩვენ ქართველნი წინა დროსაო“!

წრევანდელი ზამთარი იანეთლებისათვის ნამდვილი ღვთის რისხვა იყო. ბუნებამ თავისი უხვი კალთები თოვლჭყაპითა და ყინვებით დაიბერტყა ჩვენში. სუსხიანმა ზამთარმა ბევრს ოჯახს გამოუშალა ბურჯი და აუწიოკა საწყალს გლეხს ცოლ-შვილი. ულმობელმა სტიქიონმა სხვა ზარალთან ერთად ბევრი ადამიანის წუთისოფელს გამოსალმებითაც აზარალა სოფელი. სასტიკმა ტაროსმა ადამიანის სულთან ერთად მცენარეებიც დაგვიხმო- ნაძვი, კვიპარსი, გუნდის ხე, დაფნა, ლეღვი, ბროწეული და სხვა ახალი ნამყენები: ვაშლი, მსხალი და ატამი. როგორც ამბობენ, ჩვენ მეზობელ სოფელში დიდ-ჯიხაიშში ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძის საუცხოვო ეზოში, ბევრი სხვა-და-სხვა ძვირფასი „დეკორატიული“ ხეები და ნამყენები გაახმო სასტიკმა ყინვამ. თებერვლის შუა რიცხვებიდგან აქეთ კარგი ტაროსი სდგას, მაგრამ ზენა ქარი მაინც თავისას არ იშლის.

⁂ ზატარძეული (ტფილისის მაზრა). 22 თებერვალს აქ წმინდა შიოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი მეფე ერეკლის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ პანაშვიდის დაწყებამდე ადგილობრივმა მღვდელმა ნ. ლ-ძემ დღის შესაფერი სიტყვა სთქვა. ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ ერევანი. დღეს, 22 თებერვალს, ერევნის საკრებულო ტაძარში დიდებულის მეფის ერეკლე II გვამის დაკრძალვიდგან ასის წლის შესრულების დღეს გარდაიხადეთ წირვა და პანაშვიდი ქართულს ენაზედ. პანაშვიდს მთელი ერევნის ქართველი საზოგადოება დაესწრო. დაესწრნენ აგრეთვე 200-მდე ქართველი ჯარისკაცი აქ და სოფ. ქანაქირში მდგომ რაზმებისანი, რასაკვირველია თავისის უფროსების ბრძანებით. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვეს მ. დეკანოზმა ისაკ იორდანაშვილმა და მ. ალექსი თებზაძემ. გალობამ ახლაც მშვენიერად იმოქმედა საზოგადოებაზედ.

⁂ კავკასიის სამიწათ-მოქმედო და სახელოსნო ახალშენებისა და თავშესაფარების საზოგადოების მმართველობას კვირას, 1 მარტს, დღის 1 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში, წევრთა საზოგადო კრება ექნება. კრება განიხილავს: 1) სამმართველოს 1897 წლის ანგარიშს; 2) საზოგადოების 1897 წ. ფულის ანგარიშს; 3) ოქროცანის ზნე-ხასიათის გამასწორებელ ახალშენის 1897 წ. ანგარიშს; 4) საზოგადოების 1898 წ. ხარჯთაღრიცხვას; 5) სარევიზიო კომისიის მოხსენებას 1896—1897 წ.წ. ანგარიშების შესახებ და 1898 წ. ხარჯთაღრიცხვასა; 6) ოქროცანის ახალშენის დირექტორის დამტკიცების საქმეს; 7) სამმართველოს წევრებისა (1898—1900 წ. ვადით) იმათის კანდიდატების არჩევანის და 8) სარევიზიო კომისიის წევრებისა და კანდიდატების არჩევანის საქმეს.

⁂ ქალაქის გამგეობამ 27 თებერვლის კრებაზედ, მოისმინა-რა ქალაქის მოურავის წინადადება ქალაქის ქუჩების თოვლისა და ტალახისაგან გასუფთავების შესახებ, დაადგინა: 1) ქალაქის ტეხნიკოსები გაზაფხულისა და წურინოვი დროებით განათავისუფლდნენ სამუშაოსაგან და დაევალოთ ქუჩის გაწმენდა-გასუფთავება, რისთვისაც ამათ დაექვემდებარონ ცხენოსანი მეთვალ-ყურე შახბუდაღოვი და ბახტურიძე და ხარჯად მიეცეთ პირველთ თითოს დღეში 6 მან. და უკანასკნელთ 3 მან.; 2) ქალაქის მარჯვენა მხარეს გასუფთავება მიენდოს წურინოვს და მარცხენა—გაზაფხულის; 3) 100 მუშის გარდა 400 კიდევ იქმნას დაქირავებული; 4) ქალაქის ურემი ყველა მუშები ამ საქმეს მიაშველონ; 5) პოლიციებს რიცხვი ასამდის გამრავლდეს; 6) მუშათა დაქირავება და საჭირო იარაღების შოვნა მიენდოს ზემოხსენებულ ტეხნიკოსთ; 7) ამ საქმისთვის საჭირო გეგმის შედგენა მიენდოს ქალაქის ინჟენრის თანამდებობის აღმასრულებელს; 8) ხარჯი ქალაქის ქუჩების გაწმენდა-გასუფთავებისათვის გადადებულს ფულს მიეთვალოს; 9) ტეხნიკოსთ ამ საქმის განსაკუთრებული ანგარიში უნდა აწარმოვონ და ქალაქის ინჟენრის თანამ-

---

სხვაა „городъ обѣщаетъ давать 30 тыс. руб. въ годъ *не изъ наличныхъ своихъ средствъ, не изъ тѣхъ средствъ*, которыми поддерживаются начальныя школы და სულ სხვაა городъ обѣщаетъ давать 30 тыс. руб. *не изъ наличныхъ своихъ средствъ, которыми* поддерживаются начальныя школы. პირველი ნათქვამი გვეუბნება, რომ ტფილისი თავისის ჯიბიდამ არასფერსა ჰპირდებაო და მეორე-კი ამას აფუჩეჩებს და ამბობს, მარტო სკოლისათვის გადადებულ ფულიდამ არასფერს ჰპირდებაო. მარილი-კი მტკნარის სულელობისა პირველ ნათქვამშია, ძაღლის-კუდი თ. გ. თუმანოვის სიბრძნე-სიცრუისა იქა მარხია. აბა ამისთანა საქციელს სხვა რა დავარქვათ, თუ არ თაღლითობა და ოინბაზობა. ის არა სჯობია, გასტყდე, ქვა ხომ არა ხარ, ვიდრე ეს ოინბაზობა ჩაგედინა!..

გვჯერა, რომ ეს თაღლითობა, ეს ოინბაზობა სირცხვილის გამო მოუვიდა. თ. გ. თუმანოვიც ადამიანია, სირცხვილი მაგასაც, რასაკვირველია, ბლომად აქვს, მაგრამ განა უფრო დიდი სირცხვილი არ არის, რომ ასეთი თაღლითობა და ოინბაზობა იკადროს კაცმა. ისევ ის არა სჯობია კაცმა, რაკი მოემწყვდა, თავისი სულელობა აღიაროს, ვიდრე ამისთანა სამარცხვინო კუდიანობა იკადროს.

თუმცა ეს უკადრისობა იკადრა თ. გ. თუმანოვმა, მაგრამ მით მისს ფინანსიურს გეგმას ამითი არა დაჰკლებია რა: სიბრძნე მისი სიბრძნედ დარჩა. ეხლა ვიკითხოთ: სად იყო ვლადიკავკასი, რომ ჰკუამ იმოდენად ვერ გაუჭრა, რამოდენადაც ტფილისს თ. გ. თუმანოვის წყალობით? რატომ არ მიხვდა, რომ შესაძლოა პოლიტეხნიკუმს ყოველ წლივ დაჰპირდეს სამი ათასს თუმანს „не изъ наличныхъ своихъ средствъ, а изъ тѣхъ, которыя городъ получитъ въ случаѣ открытія политехникума: отъ возвышенія цѣнности городскихъ земель, увеличенія оцѣночнаго сбора и другихъ доходовъ“, ნამეტნავად другихъ доходовъ!.. აი რამდენ მადანს გააჩენს თურმე ის ლოცვილი პოლიტეხნიკუმი! ხუმრობაა!ამას ამბობს და ჰქადაგობს უბრალო კაცი კი არა, თვით თ. გ. თუმანოვი და თ. გ. თუმანოვი Novus-ისავით ისეთი კაცია, რომ არამც თუ სიზმარი, სულელობაც-კი დაეჯერება. უჯერებენ კიდეც, იმიტომ-რომ კულტუროსნებში იმის ზამბაც-კი ჩხრიალებს და სხვისა არც კაკალი.

ეტყოდით, თქვე დალოცვილებო, ვლადიკავკასელებო, პოლიტეხნიკუმს: ოღონდ ჩვენს „ნალიჩნი სრედსტვებს“ ხელს ნუ ახლებ და თუნდ მილლიონებს დაგპირდებითქო. რა გეხარჯებათ. თუ თ. გ. თუმანოვმა ამისთანა თამასუქი გაუნაღდა და გაუსაღა ტფილისს, ვითომ ვლადიკავკასი რა ქალაქების ნაბიჭვარია, განა ის-კი ვერ გაანაღდებდა. იტყვით, ჯერ მაგისთანა თამასუქების წერას ოსტატობა უნდა და მერე მაგისთანაების განაღდებასაო და ჩვენ ეგენი სად შეგვიძლიან, ჯერ მაგისთანაებში გაწურთნულები არა ვართო. ეს კი, ჩვენ და ჩვენმა ღმერთმა, საბუთია. თქვენი უბედურება, თუნდ ბედნიერება სთქვით, ისა ყოფილა, რომ იმისთანა კაცი არა გყოლიათ, როგორიც თ. გ. თუმანოვია ტფილისში. არც საკვირველია. გენიოსი პანტა ხომ არ არის, რომ უპრაგონოთ ჰცვივოდეს, ან პრასა, რომ საცა გინდა და არ გინდა მოვიდეს. თ. გ. თუმანოვი ერთია, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, კარგია. ტყუილად კი არ დაუპირა „კულტუროსანთა“ დაწინაურებულმა ამქარმა ტფილისის „მელიქად“ დასკუპება. იცოდნენ, რა ბოღაზია სიბრძნისა და ჭკუისა. მაშ რაღას „კულტუროსნები“ იქნებოდნენ, რომ ამისთანა მადანი გამოჰპარვოდათ. კაცმა იმისთანა თილისმა მოიგონა, რომ პოლიტეხნიკუმსვე ჯანს გააგდებინებს და სამი ათასს თუმანს ყოველ წლივ გამოაჩეკინებს ტფილისისათვის. განა ეს ცოტაა, რომ ტფილისმა სახსოვარი აუგოს!

ახ, ნეტავი მართლა სახსოვარი აუგოს, ოქროსი კი და ამისი ხარჯი თვით თ. გ. თუმანოვის კისრიდამ ამოიღოს, როგორც იგი პოლიტეხნიკუმს აშენებს და ხარჯს პოლიტეხნიკუმისვე კისრიდამ იღებს. მაშინ იწვნევდა თავისის ფინანსიურ გეგმის საწვნევსა და პირს ჩაიტკბარუნებდა!..

თქვენ იქნება ხუმრობა გეგონოთ, რომ ტფილისი დაჰპირებია პოლიტეხნიკუმს სამი ათასს თუმანს ყოველ წლივ „не изъ наличныхъ своихъ средствъ“. რომ თავისის „ნალიჩნი სრედსტვებიდამ“ დაჰპირებოდა, ეს რაღა ვაჟ-კაცობა იქმნებოდა, ეს რაღა ოსტატობა იქმნებოდა. ჭკუა და სიბრძნე ის არის, რომ თავისის ჯიბიდამ არ დაჰპირებია, თ. გ. თუმანოვის სიტყვით. აი ჭკუა და ოსტატობაც, თუ გნებავთ, ეს არის. მაშ საიდამაო, იკითხავთ? თ. გ. თუმანოვი ამის პასუხად თვალ-დაუხამხამებლად გვეუბნება: იქიდამაო, რასაც თვითონ პოლიტეხნიკუმი ჯანს გაიგდებინებს და ჯიბეში ჩაგვიჩხრიალებსო. გამოდის, რომ ყოვლად მოწყალეო პოლიტეხნიკუმო, იმედი გვაქვს ჯერ შენ მოგვცემ და ჩვენც ნამუსს შეგინახავთ, შენს მოცემულს შენვე დაგიბრუნებთო. ესეც დიდი რამ არის, რომ ნამუსს შეინახვენ და უკანვე დაუბრუნებენ. ანგარიში სწორედ „კულტუროსნულია“. ნამუსიანი და ჭკუიანური ალებ-მიცემობაც ეს არის. საქმე მუქთად კეთდება. ამაზე მეტი ჭკუა-ღა იქნება, კაცი ჰპირდებოდეს მოგცემო და მისაცემი იმის კისრიდამვე ამოიღოს, ვისაც ჰპირდება. ალამ ჭკუა არ წააგოო, ამას ჰქვიან. ასტვაც, ასტვაც!.. ჭკუა რა კაი საქონელი ყოფილა! ეხლაც იტყვით, თ. გ. თუმანიშვილი სად იყოვო, როცა ჭკუას არიგებდნენო!..

ჩვენ ყოველივე ეს ხუმრობა გვეგონა. სიბრძნე იმიტომ არის სიბრძნე, რომ კაცი პირველშივე ადვილად ვერ მიხვდება. გვეგონა, რომ თ. გ. თუმანოვს საქმე გამოლევია და მასხარაობს. ამ მასხარაობას რომ თ. გ. თუმანოვის ექვსნებიანი ჩაჩი ეხუროს და მისისავე სახელით გასულიყო ქვეყანაში სასეირნოდ, ვინ რას იტყოდა. ამისათვის თ. გ. თუმანოვს ქვაც ხელში აქვს და კაკალიცა. საქმე ის არის, რომ თ. გ. თუმანოვი გვარწმუნებს, ვითომც ტფილისის „კულტუროსანთა“ საბჭომ სწორედ ამ მასხარაობაზე ააშენა თავისი დაპირებაო. ეს, რასაკვირველია, მტკნარი ტყუილია და თ. გ. თუმანოვს ანგარიშში უნდა ჩაეგდოს. აბა რა საფიქრებელია, ვითომც საბჭოს დაეჯეროს, რომ შესაძლოა პოლიტეხნიკუმს ამისთანა პირობა დაუდოს:

დებობის აღმასრულებლის ხელით გამგეობას წარუდგინონ; 10) მუშაობის დაწყება-გათავება ქალაქის გამგეობის საქმეა.

*** დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდებათ ხელის-მომწერლებს ჟურნალ „მოამბის“ მეორე ნომერი. ეს ნომერი შემდეგის შინაარსისა: 1, ორი მკურნალი.—შ. არაგვისპირელისა; 2, ამირანის შვილნი.—ისტ. რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდგან; 3, ცისკარა.—პოემა ანტონ ფურცელაძისა; 4, შურისძიება.—მოთხრობა კარმენ სილვასი, თარგმ. ი. ა—ძისა; 5, ***, ლექსი გრ. ვოლსკისა, 6, NEGO.—მოთხრობა დანილევსკისა, თარგ. ქ. ეკ. მესხისა; 7, ძვირფასი საჩუქარი.—თარგმანი ქ. ნ. ქიქოძისა; 8, „ვეფხვის ტყაოსნის“ ყალბი ადგილები—ალ. ს—შვილისა; 9, ხელოვნება სოციოლოგიურის აზრით.—თარგ. ინ-ანისა; 10, გურია-აჭარა.—თ. სახოკიასი; 11, არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ.—თარგ. ი. მაჭავარიანისა; 12, მესამე დასი და ბურჟუაზია.—ნ. ურბნელისა და 13, საქართველოს სიძველენი.

*** 26 თებერვალს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც ცეცხლის საქრობ რაზმთა დაარსების საქმე აქვს მინდობილი. ამ კრებას ტფილისის პოლიც-მეისტერიც დაესწრო. კრებამ საჭიროდ სცნო, რომ ავლაბარსა და კუკიაში, მე-9 და მე-10 ნაწილებს შუა, დაარსებულ იქმნას ცეცხლის საქრობი რაზმები. იმ ადგილის შესახებ, სადაც უნდა იყოს საშუალო ცეცხლის საქრობი რაზმი, კრებამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ იგი უნდა იყოს მე-4, 5 და 3 ნაწილების საშუალო ადგილას, ხოლო ბებუთოვის ქუჩაზედ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ იმაზედ კარგი ადგილი არ აღმოჩნდაო.

*** ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის პროკურორს ბ-ნს რუშჩინსკის გაზ. „კავკასის“ სიტყვით, უკვე შეუმუშავებია პროექტი კანტორის „შტატების გაფართოების შესახებ.

*** ტფილისის გუბერნატორის შუამდგომლობა კეთროვანთათვის სამკურნალო თავშესაფარის დაარსების შესახებ კავკასიის მთავარ-მართებელმა არ შეიწყნარა იმ მიზეზით, რომ ამ სამკურნალოს დაარსებისათვის საჭირო ფული საერობო ხარჯიდგან ვერ გადაიდებაო.

*** 23 თებერვალს სადგურებს მცხეთასა და ქსანს შუა მატარებელში შემდეგი ქურდობა მოხდა. მატარებლის მესამე კლასში იჯდა გორის მაზრის უფროსის მოსამსახურე, რომელსაც თავის ბატონის ბარგი მოჰქონდა ხალიჩაში შეხვეული და თოკებმოჭერილი. დასახელებულ სადგურებს შუა, ავეჯთან მატარებელში ვიღაც უცნობი კაცი მივიდა, დაავლო ხელი ავეჯს და ფანჯრიდგან გარეთ გადაისროლა, შემდეგ თითონ ვაგონიდგან გამოვიდა და გაქანებულ მატარებლიდგან გადახტა. ეს ამბავი ისე უცბად მოხდა, რომ მაზრის უფროსის მოსამსახურემ ვერაფერი მოიფიქრა და ქურდი ვერ დაიჭირა. მხოლოდ როდესაც გორში ჩამოვიდა, მაზრის უფროსს ყველაფერი გამოუცხადა. მაზრის უფროსმა ავაზაკის მოსაძებნად იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, გაჰგზავნა ბოქაული თავ. ავალიშვილი. ბოქაულმა მალე აღმოაჩინა ქურდი, რომელიც გორის მაზრის სოფ. ადაიანის მცხოვრებელი ალექსი გლეხაური გამოდგა. დამნაშავე დაპატიმრებულ იქმნა.

*** 26 თებერვალს პენზენის გუბერნიის მცხოვრებელს ქალს აქსინია ფედოსეევს, რომელიც ახლად დაგეგმილს ქუჩაზედ სცხოვრობს, ტყუპი შვილი ეყოლა და დედამ ორივე შვილი საჭიროების ადგილში ჩაჰყარა. დამნაშავე სასამართლოშია მიცემული.

## ხალხური ლექსები

(ასპინძის ომის შესახებ გამოთქმული და ახალციხის მაზრაში გაგონილი ტ. ზ—ძის მიერ)

შენ ერეკლე ჭოქმიანო,
ცხენ-ლამაზ უნაგრიანო;
შენი ნახოცი ლეკები
ასპინძის ბოლოს ჭერიანო,
უკავი ყორანი ლეშსა სჭამს
კაჭკაჭნი თვალებს სთხრიანო.

ერეკლეს უკეს ძალაო,
თვალთ ცრემლი გადმოყარაო,
დამაცა, ჩემო ღალაო,
თუ ღმერთმა დამაცალაო,
შემოუცია ლეკებსა,
სულ წყალში გადმოყარაო.
იმის ნახოცი ლეკები,
ჭაჭარაკს*) გადმოყარაო.

## დამაკვირდი

ბრბო ხშირად იწვევს უფალს თვისთა ქვენა ვნებათა და გულის-თქმათა შუამავლად.

პიერემონტი

* * *

სული თვითვე თავისი მოწმე, თვისი, ქომაგი. ნუ შეურაცხ-ჰყოფ, ადამიანო შენს სულს, ამ დიდებულს შენში მცხოვრებს მოწმეს!

* * *

ვერ უძლე დატევებად საწუთოსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან*).

წმ. დავით აღმაშენებელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთი „Нов. Телегр.“ სწერს, რომ ოდესის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოებას, რომელსაც ბ-ნი რადლოვი თავმჯდომარეობს, ბ-მა კრემინსკიმ წარუდგინა მოხსენება თავის მიერ ახლად გამოგონილ გემის შესახებ. „ეს გემი, კრემინსკის სიტყვით, წყლის ქვეშ ივლის ზღვაში და ამისათვის არ არის საჭირო არც ორთქლისა, არც ელექტრონისა ანუ სხვა რამ მანქანები, არც ვინტი, თვლები და სხვა ამ გვარი რამ. ჯერ ისევ 1884 წელს მოიწონა ოდესის სატეხნიკო საზოგადოებამ კრემინსკის მოხსენება, რომელიც იმავე წელს მოიწონა აგრეთვე პეტერბურგის სატეხნიკო საზოგადოების მეოთხე განყოფილებამ, რადგანაც ამ გემის გასაკეთებლად საჭიროა ერთი მილიონი მანათი. რა თქმა უნდა, ამ ფულის შეგროვება ძნელი უნდა იყოს, ამიტომ, ბ-ნს კრემინსკის შეუდგენია პროექტი უფრო პატარა გემისა, რომელიც გაცილებით იაფად დაჯდება და რომელიც წყლის ქვეშ ივლის ზღვაში, ორი ათას საჟენის სიღრმეზედაც კი და რომლის შემწეობითაც შეიძლება ზღვაში დაღუპულ გემების პოვნა. ამ პროექტიდგანა სჩანს, რომ ეს გემი მაგრძო იქმნება, ძლიერ მაგარიც, რადგანაც ფოლადისაგან უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება სიჩქარეს, კრემინსკი ამბობს, სიჩქარე ჯერ ჯერობით საჭირო არ არის, მერეც შეიძლება ამ მხრივ გემის გაუმჯობესობაო. გემში 10 კაცი ჩაეტევა და იმდენ ხანს გასძლებენ წყლის ქვეშ, ვიდრე სუნთქვისათვის ჰაერი და საჭმელ სასმელი ექმნებათ. ბ-მა კრემინსკიმ სთხოვა სატეხნიკო საზოგადოების კრებას, თქვენი აზრი წარმოსთქვით ჩემ პროექტის შესახებ, რომელსაც მე 20 წლის შრომა შევალიე და რომლის განსახორციელებლად ე. ი. გემის გასაკეთებლად. ვინც ფულს შემპირდა, იმათ უნდათ გაიგონ, რას იტყვიან ამ პროექტზე მცოდნე კაცებიო.

კრებამ გადასწყვიტა შეიკრიბონ ამ მოკლე ხანში და მოიწვიოს პროფესორები-მათემატიკოსები, რათა გამოირკვეს, რამდენად კარგია პროექტი ბ-ნის კრემინსკისა და გამოდგება, თუ არა მის მიერ გამოგონილი გემი.

*) ჭაჭარაკი სოფელია მტკვრის გვერდით, ასპინძიდგან 25 ვერსის მანძილზედ.

*) დღეიდგან იბეჭდება ქართველთა მოღვაწეთ თქმულობანი, რომელნიც ამოკრებილი მე-IX—XII საუკუნის ხელნაწერებიდგან. ეს მოღვაწენია წმ. ნინო, წმ. მირიან მეფე, ვახტანგ გორგასლანი, წმ. ილარიონ ქართველი (829—882 წ.), რომლის ცხოვრება შეტანილია ბერძნულს დიდს სვინაქსარში (ეს თვალსაჩინო წიგნი თარგმნილია ქართულს ენაზე გიორგი მთაწმინდელის მიერ და ინახება მუზეის წიგნთსაცავში (№ 222), იოანე ბოლნელი, გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, მისი ძე დიმიტრი, ნიკოლოზ ბოდელი (1210 წ.), შალვა ახალციხელი (XIII საუკ.), არსენი კათალიკოზი (1218—1233 წ.) და სხ. მ. ჯ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 თებერვალი

**სოფია.** სააპელაციო სასამართლოში იმათ საქმის გარჩევის დროს, რომელთაც სტამბულოვის მოკვლა ჰბრალდებათ. ბრალდებულმა უარი განაცხადა ტიუფექჩიევის წინააღმდეგ საბრალმდებლო სიტყვას არ ვიტყვიო. ტიუფექჩიევმა მოახერხა თვისის სიმართლის დამტკიცება. სამოსამართლო პალატამ ტიუფექჩიევი უდანაშაულოდ სცნო, ხოლო განაჩენი მეეტლის აზოვის შესახებ ძალაში დასტოვა და ბონე გეორგიევიჩსა და ხალიევს, მათდა დაუსწრებლად გადაუწყვიტა სასჯელი, როგორც მკვლელებს.

**პარიჟი.** მომავალ კვირას ჰანოტო წარუდგენს პალატას კონვენციის რატიფიკაციის პროექტს საბერძნეთის სესხის უზრუნველ ყოფის შესახებ.

**ლონდონი.** ობშჩინთა პალატა. კერზონმა განაცხადა: განქურია არ არის ერი იმ თვრამეტ პროვინციათაგანი, რომლებისგანაც საკუთრივ ჩინეთი შეადგინა, მაგრამ, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ იგი ჩინეთის იმპერატორის სრული საკუთრებაა. გრაფმა მურავიოვმა შეატყობინა ინგლისის ელჩს პეტერბურგში, რომ რუსეთს მოლაპარაკება აქვს ჩინეთთან პორტ-არტურისა და ტალიენვალის რამდენისამე წლით იჯარით აღების შესახებ და აგრეთვე პორტ-არტურსა ან ტალიენვანში ერთსა და იგივე პირობით რკინის გზის გაყვანის შესახებაო. როსკიმ არავითარი უფლება არ განაცხადა ამ ნავთ-სადგურების შესახებ და არც დაემუქრა მანჯურიაში ჯარის გაგზავნით. გრაფმა მურავიოვმა განაცხადა, რომ თუ ტალიენვანი იჯარით გადაეცა რუსეთს, იგი, როგორც ჩინეთის სხვა ნავთ სადგურები, გახსნილი იქმნება უცხო სახელმწიფოთა ვაჭრობისათვის.

---

მე შენ გპირდები წელიწადში სამი ათასს თუმანს, მხოლოდ მაშინ-კი, თუ შენ შემოუტან ჩემდა რწმუნებულ ქალაქს წელიწადშივე სამი ათასს თუმანს ახალს შემოსავალს, იცოდე, მე ნამუსის პატრონი ვარ და წინდევე გეუბნები: ქალაქის ჯიბეს ამისათვის მე პირს არ მოვუხსნი, ამ ჯიბის იმედი ნუ გაქვს.

მართალია, ტფილისის საბჭო „კულტუროსანთა“ კრებულია, მაგრამ არც იმოდენად ჭკუა-დაბნეულია, რომ ხსენებული სიბრძნე-სიცრუე თ. გ. თუმანოვისა დაეჯერნა. მარტო ერთი რამ არის აქ საოცარი. თუ არ დაუჯერნია, მაშ ეს რა არის, რომ ამდენი ხანია, რაც თ. გ. თუმანოვი თითქმის ყოველდღე საქვეყნოდ იძახის, რომ ტფილისი ამ სახით დაჰპირდა სამი ათასს თუმანს წელიწადში პოლიტეხნიკუმსა და 80 კაცში, რომელიც დღეს ქალაქის საბჭოს შეადგენს, ერთი კაციც არ გამოდის და არ ეუბნება: რაზედ გვარცხვენ, ჩვენო ბედნიერო „მელიქო და აღარ მელიქო“, თავს რადა გვჭრი? ქვეყნის სასაცილოდ რაზედა ჰხდი ამოდენა ქალაქს? ვინ სულელი იტყვის, რომ სამი ათასს თუმანს ვპირდებით იმ პირობით, თუ თვითონ პოლიტეხნიკუმი სამი ათასის თუმნის ახალ წყაროს შემოსავლისას ამოგვიხეთქს და ჩვენ-კი მარტო ტიკების ბერვა და დაგვჭირდება.

ვინ სულელი იტყვისო? სულელი-კი არა და თქვენი ბრძენი თ. გ. თუმანოვი-კი ამბობს. ამას რომ ეს ვაჟ-ბატონი თავისით გაიძახოდეს, ან ოთხ-კედელშუა თავისად ჰროშავდეს, კიდევ ჰო. განა ცოტაა მოშლილი წისქვილი, დეე არახუნოს, მინამ მოსწყინდება. საქმე ის არის, რომ თავისის გაზეთის შემწეობით საქვეყნოდ ჰყვირის, რომ ტფილისი სწორედ ამ სასაცილო სახით დაჰპირდა სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმსაო. ეს ქვეყნის სამასხაროდ გახდომა არ არის მთელის ტფილისისა! აბა თუ ერთმა ხმოსანმა საჭიროდ დაინახა და პასუხი გასცა, ქალაქის სახელსა და პატივს გამოესარჩლა!..

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აქ თ. გ. თუმანოვი სტყუის: ტფილისი ამისთანა სამასხარო პირობას არ დაუდებდა პოლიტეხნიკუმს. ხოლო ამისთანა ტყუილს ტყუილის კარამდე უნდა სდიოს კაცმა და „კულტუროსანთა“ ამქარმა ძვალის გატეხა არ მოინდომა „კულტუროსანთა“ ბაირაღტარისა.

სხვას რას მივაწეროთ ამ შემთხვევაში დუმილი საბჭოსი? ბ-ნ ბაზოვის და ან სხვა ამისთანაების ერთი სიტყვა რომ ისე არ იყოს გადაცემული გაზეთში, ერთს ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე მეორეს დღესვე გაზეთებში, თითქო ქვეყანა დაიღუპაო და აქ-კი ასე ამაოდ და სამასხაროდ ხსენება მთელის ქალაქისა არაფრად მიაჩნიათ და ხმას არ იღებენ. ერთი იწამეთ ღმერთი და გვითხარით: მართლა იმ სახით დაჰპირდით სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმს, რასაც თ. გ. თუმანოვი საქვეყნოდა ჰყვირის ეს ამოდენა ხანია? ვაი ტფილისის ბრალი, თუ მართლა ასეა!

წარმოიდგინეთ: თ. გ. თუმანოვმა ერთი ასეთი კულტუროსნული არითმეტიკა გადმოგვიშალა თავისის გაზეთის № 4844-ში თავისის სიბრძნე-სიცრუის დასასაბუთებლად, რომ თქვენი მოსაწონებელი. ამ არითმეტიკით გვიმტკიცებს, როგორც ორჯელ-ორი ოთხია,—რა შადრევანი კაკალ მანეთებისა დაიწყებს მაღლა ცემას, როცა პოლიტეხნიკუმი საძირკველს ჩაჰყრის ტფილისში. ტფილისის საბჭო ეხლავ ტიკებსა ჰბერავს თურმე ამ დღისათვის, თუ თ. გ. თუმანოვს დავუჯეროთ. შესაძლოა, რომ ამ არითმეტიკის მნახველს საბჭოს პირი წყლით აევსო. არითმეტიკის მოწმობა დიდი რამ არის, ვერსად წაუხვალთ.

ბაქიობაში-კი ნუ ჩამოართმევთ და თ. გ. თუმანოვი, როცა თავისს არითმეტიკას ათავებს, თავ-მოწონებით იძახის: „ასეთია ჩემი ციფირებიო!.. აბა თუ კაცები არიან „ივერიის“ ფინანსისტები შემეცილნენ თუნდ ერთს ციფირსაო“. ამ სახით საომრად გამოგვიწვია. ჩვენ როგორ გავკადნიერდებით, თვალი გავუსწოროთ, ომი გავუბედოთ, ჩვენთვის ესეც დიდი მოწყალებაა, რომ ჩვენთან ომსა ჰკადრულობს. ესეც საკმარისია ჩვენდა სასახელოდ. განა არა, ერთხელ თ. გ. თუმანოვმა ბძანა თავისს გაზეთში: ივერიას ძალიან უნდა, რომ ჩვენ გავუკლავდეთო, მაგრამ ვერ მივართვით, თავს როგორ გავუყადრებთო. მართალია, ეს მაშინ იყო, როცა ტფილისის მელიქობას გამოელოდდა თ. გ. თუმანოვი და მაშინ საბუთი ჰქონდა გაბუებულიყო, ცხვირი ზევით აეწია და ჩვენთვის დიდკაცურად ბღვერა დაეწყო. ეხლა-კი, როცა ამ მაღლა დაკიდებულ ძეხვს პირი ან თათი ვერ მიაწვდინა, ცოტა არ იყოს თავი მოიმდაბლა და ჯოხის ცხენიდამ გადმოხტა. მაინც და მაინც კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენ დღეს ეს მოწყალებაც გვეყოფა, რომ ჩვენთან ომსა ჰკადრულობს. სიკეთის გადახდა ჩვენც ვიცით. ომს როგორ გავუბედავთ და შევკადრებთ.

პირიქით, სახელი გვინდა გავუთქვათ თ. გ. თუმანოვს. ამ ვაჟ-ბატონმა ისეთი არითმეტიკა გამოაცხო თავისს სასახელოდ, რომ კაცს გაუკვირდება ერთის კაცის ჭკუამ როგორ დაიტია ესეთი ზორბა მეცნიერებაო. რა ვიცით, წუთის სოფელია, დრო წავა, ეს არითმეტიკა-კი დარჩება და სახელი მისის მომგონელისა დავიწყებას მიეცემა. ამ ღვაწლს როგორ დავუკარგავთ თ. გ. თუმანოვსა, რომელიც დღე მუდამ ჰლაღადებს, რომ რაც ძმობაში კარგია, ის ჩვენაო და რაც მტრობაში ავია, ის თქენაო.

ამისთანა ძმური და სწორე სასწორი ჯერ არა სჭერია კაცს ხელში და უმადურება იქნება ჩვენ მიერ ამისთანა კაცის სახელი დაიკარგოს მით უფრო, რომ მისივე სახელი აბრწყინვალებს იმ ახალ მოგონილ არითმეტიკასაც, რომელიც იმ სიღრმე ჰას სიბრძნისას წარმოადგენს, რომ ტფილისის საბჭო უფრო მალე თვითონ ჩაიწურება შიგ, ვიდრე იქიდამ ამოსწურავს რასმეს. ეს არითმეტიკა შემდეგისათვის იყოს.

მართალია, თ. გ. თუმანოვს პასუხი დავუგვიანეთ და ეს პასუხი უზომოდაც გაიჭიმა. ხოლო თვითონ თ. გ. თუმანოვიც მიგვიხვდება, რომ მისის სიბრძნე სიცრუის ნასკვის გამოხსნა ჩვენისთანა ქონდრის-კაცებისათვის ადვილი საქმე არ არის. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: ერთი სულელი კენჭს გადააგდებს ზღვაშია და ათასი ბრძენი ვერ ამოიღებსო.

(შემდეგი იქნება)

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Февраля 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.